ცნობის ფურცელი

№ 2535 პარასკევი, 25 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2535

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 ივნისს, საღამოს 11 საათზე აბასთუმანში გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ

სამსონ ბესარიონის ძე თოფურია,

რასაც განსვენებულის ძმები—**კონსტანტინე, მიხეილ** და **ლუკა** და დები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის). სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდან—39 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე —უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მისიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31-ში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ლ სექტემბერს სწავლა დაიწყება. დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სასწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც. (15—6—1)

ქუთაისში

სასტუმრო „როსია“

ამა 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის **ნიკოლაძის** სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის გვერდით. (15—კ. ნ.—3).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

იქ. ქალი მ. ა. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა [illegible] [illegible] ქუჩა, № 24 სახლი ჯაჩნაძისა.

კბილის ექიმის

ი. პ. ახალშენიშვილის

კაბინეტში 15 ივნისიდან 20 აგვისტომდე ავადმყოფების მიღება შეწყვეტილია. (5—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივნისი

ლონდონი. ტოკიოდან მიღებულ ცნობებით, ვლადივოსტოკის ესკადრას კიდევ დაუღუპნია იაპონიის რამდენიმე ტრანსპორტი. ჰფიქრობენ, რომ რუსებმა ხელში ჩაიგდეს ინგლისის გემი „კომონ-უელტი“, რომელიც კარგა ხანია სასებოში უნდა მოსულიყო.—ნიუ-ჩუანიდან დეპეშებით იუწყებიან, რუსთა სამხრეთის პოზიცია გაიჩოუს ახლოსაა. გენერალ კუროკის სამხრეთის კოლონა უახლოვდება ტანჩის, 20 მილის მანძილზე სალგურ დაშიჩაოდან, სადაც რკინის გზები იყრება. როგორცა სჩანს, ამ კოლონნას განუზრახავს გაარღვიოს გაიჩოუს ჩრდილოეთით რუსის ჯარის წრე. თუმცა წვიმებია, იაპონელები მაინც მარჯვედ მიდიან წინ.

ტოკიო. გენერალმა კუროპატკინმა გააძლიერა თავისი პოზიციები დაშიჩაოში 30 ათას კაცისაგან შემდგარ ჯარით.

ლიაოიანი. ისევ ძლიერ სწვიმს. შეიძლება კიდევ რამდენიმე დღით კარგი დარი დადგეს, შემდეგ-კი მუდმივი წვიმები დაიწყება.

(დამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება: ივნისის ნახევრამდე იაპონელებს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე სულ 180 ათასი კაცი ჰყავდათ. მეოთხე არმიიდან ჯერ ერთი კაცი არ გადაუყვანიათ მანჯურიაში.

ვენაში იაპონიის სამხედრო ატაშემ გამოუცხადა პრესის წარმომადგენლებს: იაპონიას ამ ჟამად 200 ათასი კაცი ჰყავს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე და კიდევ 100 ათასი ჯარის-კაცი და ძლიერი სარეზერვო რაზმები სხვა ჰყავს შინაო. („ბ. ვ.“).

იმ ცნობას, ვითომ იაპონელებმა დალნის ულელტეხილი მიატოვეს და უკან დაიხიესო, ბერლინში არავითარი ყურადღება არ მიაქციეს (ეს ცნობა მაინც ტყუილი გამოდგა). გერმანული გაზ. „ლოკალ ანცაიგერ“-ი ჰფიქრობს: გენ. კუროკი რუსების მოტყუებას ცდილობსო. იაპონელი სარდალი ხუთის გზით მოდის. რუსები ყველგან დასახვედრად ემზადებიან და არ იციან, ნამდვილად სად, რა ადგილას დაეცემათ გენ. კუროკიო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო მიმომხილველი შენიშნავს, „წვიმების პერიოდი“ იაპონელების მოქმედებას ვერ შეაჩერებსო. („რ. ს.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. სწერს: როგორც გენ. სტესელის მოხსენებიდან სჩანს, 14 ივნისს იაპონელებმა პორტ-არტურს ახლო ლუნვანტანის მთის კალთები და გუინსანის მთა დაიჭირეს და პორტ-არტურისაკენი წავიდნენ; 14 ივნისს იაპონელებმა რუსის მარჯვენა ფრთის პირ-და-პირ, ლუნვანტანის მთის აღმოსავლეთ მხარეს ბატარეები დააწყეს; ლუნვანტანის მთიდან პორტ-არტურამდე 14 ვერსტია, ციხის წინა ფორტებამდე კი მხოლოდ 5 ვერსტია.

ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდანა და ნიუჩუანიდან: 10 ივნისს შემდეგ პორტ-არტურს ახლო ზღვაში კიდევ ახალი ბრძოლა მოხდა რუსისა და იაპონიის ფლოტს შუაო, მაგრამ ამ ბრძოლის თაობაზე ჯერ ოფიციალური ცნობა არ მოსულა. („რ. ვ.“).

„სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: აქამდეც მოდიოდა ცნობები, რუსის სალდათები და ყაზახები მოკლულ იაპონელებს ასახიჩრებენო, მაგრამ იაპონელები ყურს არ უგდებდნენ ამნაირ ცნობებს. ეხლა სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან კიდევ მოვიდა ამნაირი ცნობები და იაპონელებმაც ხმა ამოიღეს. ერთი იაპონელი სამხედრო ექიმი ჰმოწმობს, 8 ივნისს რუსებს ჩვენის კავალერიის უნტერ-აფიცერი მოეკლათ და მერე ხმლით აეკუწათო. („რ. ს.“).

ლიაოიანიდან და მუკდენიდან ამ ბოლოს დროს ცნობები მოდის, ვითომ იაპონელები ბრძოლის დროს დაჭრილ რუსებს სტანჯავდნენ და ჰკლავდნენო. ოფიციოზური გერმანული გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს ამის თაობაზე: თუმცა რუსის კორესპონდენტები გადაჭრით ამტკიცებენ, ეს ცნობები მართალიაო, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ეს ცნობები უტყუარი არ უნდა იყოს. ვინ ამბობს, რაც უნდ გაწვრთნილი და გულ-კეთილი ჯარი იყოს, მაინც შეიძლება ბრძოლის დროს, რომ ზოგიერთმა ჯარის-კაცმა, ბრძოლისაგან გაფთრებულმა და დაქანცულმა უწესოება ჩაიდინოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ იაპონელი სარდლები ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს და თავიანთ ჯარის-კაცებს ყოველ უწესოებასა და ბოროტებას უშლიან. ეგაა ჩინელებთანა და ხუნხუზებთან კი იაპონელი სარდლები ვერას გახდებიან. კორესპონდენტები იუწყებოდნენ, ტიურენჩენის ბრძოლის ველზე ჩინელები დაეცნენ და მკვდრებსა და დაჭრილებს ცარცვა დაუწყესო, მაგრამ იაპონელმა სარდლებმა მაშინვე სასტიკი ღონისძიება მიიღეს ჩინელების წინააღმდეგო. იმედი გვაქვს, იაპონელი სარდლები ეხლაც ყოველნაირად ეცდებიან, რომ იმათ ჯარს სახელი არ გაუტყდეს და ბარბაროსობა ვერავინ დასწამოს. („ნ.“).

„რუსკი ინვალიდ“-ის კორესპონდენტი ასე აგწერს იაპონელ უნტერ-აფიცრის რანეცს: „რანეცზე დაკრულია მუქი-ლურჯის ფერის შინელი,—კარგის მაუდისა. შინლის სახელოებზე ყვითელი კანტია შემოვლებული. შინელი კარგადაა შეკერილი და სუფთადაა შენახული. თითონ რანეცი ხბოს ტყავისაა, კარგა მოზრდილია, მაგრამ საკმაოდ მძიმეცაა. როცა თასმები შევხსენით და რანეცი გავაღეთ, გავოცდით, ისე სუფთადა და ლამაზად ეწყო შიგ სხვა-და-სხვა ნივთები: თითქო განგებ საჩვენებლადაა ჩაწყობილიო. ყოველი ნივთი თავის ადგილას, ლამაზად, სუფთად და მკვიდრად იდო. სუფთა თეთრ პარკებში ცერცვი და ბრინჯი ეწყო, თხელ იაპონურ ქაღალდში დაფქული მარილი იყო გამოკრული; ლურჯი წინდები ჩ[illegible]ულად იყო დაკეცილი; აქვე სუფთა ფეხსაცმელი ეწყო; ორი ცალიერი კვერცხი კი ცალკე ლამაზად იყო ქაღალდში გახვეული. აქვე თოფის წვრიმალ ნაწილებისა და სანოვაგის გარდა, სუფთად ცალ-ცალკე შეხვეული წამლები და წკრილები ეწყო; უბის წიგნი და კორეისა და მანჯურიის ქარტაც აქვე იდო. ყველაფერი, რაც რანეცში ეწყო, ისე სუფთად იყო გაკეთებული და ლამაზად ჩაწყობილი, როგორც მარტო იაპონელებს შეუძლიანთ“.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: რუსის კონსულმა ჩიფუში უმავთულო ტელეგრაფი გამართა და ამ ტელეგრაფის შემწეობით პორტ-არტურში დეპეშებსა ჰგზავნის. ჩიფუ ნეიტრალური პორტია, ამიტომ რუსის კონსულის ქცევა ჩინეთის ნეიტრალიტეტს არღვევს და იაპონიას სრული ნება აქვს, ამის თაობაზე პროტესტი გამოაცხადოს რუსეთის წინააღმდეგ. („ბ. ვ.“).

იაპონიის მთავრობამ კურინოს მაგივრად შვეციაში კურინოს მდივანი აკიცუკი დანიშნა ელჩად. („ბ. ვ.“).

ტყვე რუსები იაპონიაში. „სტანდარდ“-ის კორესპონდენტი სწერს: 17 ივნისს კუნძულ მასუიამაზე რუსის ტყვეები ვნახე. იქაურ სამხედრო საავადმყოფოში სულ 306 დაჭრილი რუსი იწვა. მომეტებულ ნაწილად სუმბუქად იყვნენ დაჭრილნი. ამათგან 209 კაცი მთლად მორჩა; საავადმყოფოში ეხლა 12 აფიცერი, 37 უნტერ-აფიცერი და 49 სალდათი-ღაა. ავადმყოფებს კარგად ინახავენ და კარგად სწამლობენ. დაჭრილ რუსებს იაპონელი და ამერიკელი ქალები, მისიონერები და წითელ ჯვრის საზოგადოების წევრებიც უვლიან. კუნძულზე კარგა მყოფი რუსებიც ცხოვრობენ: 21 აფიცერია, 54 უნტერ-აფიცერი და 583 სალდათი. აფიცრებს საერთო ზალა და ცალ-ცალკე საწოლი აქვთ; სადგომს ახლო ბაღიც აქვთ. ესენი ყველაფერზე მადლიერები არიან, მხოლოდ იმასა სჩივიან, რომ უდარაჯოდ ქალაქში არ გვიშვებენო. იაპონელები მეტად კარგად ექცევიან რუსებს და ხან-და-ხან საჩუქრებსაც უგზავნიან. უნტერ-აფიცრები და სალდათები ხუთ სახლში დგანან და ძლიერ ემადლიერებიან თავიანთ ყოფას. ესენი მარტო იმასა სჩივიან, რომ საქმე არა გვაქვს-რაო. იაპონელი მოხელეები ამბობენ, რუსის სალდათები ძლიერ კარგად იქცევიანო. იაპონელები რუსის სალდათებსაც ხშირად უგზავნიან პაპიროზსა და სურათებიან გაზეთებს. 22 დაჭრილ რუსის მატროსიდან, 13 კაცი მორჩა და სამშობლოში წავიდა, დანარჩენნი-კი ორის თვის შემდეგ წავლენ.

ტყვე რუსებს ამერიკელი მისიონერები და მართლ-მადიდებელი მღვდელი ხშირად ინახულებენ ხოლმე. კუნძული მასუამაზე მეტად კარგი ჰავაა. („რ. ლ.").

ფლოტის ბრძოლა პორტ-არტურთან, 10 ივნისს. ფრანგულ გაზ. „ტან"-ი სწერს: 10 ივნისს პორტ-არტურთან ბრძოლის დროს იაპონელი და რუსის ადმირალი სულ სხვა-და-სხვა ტაქტიკას მისდევდნენ. ადმირალმა ტოგომ პორტ-არტურთან განგებ პატარა ესკადრა დააყენა. ეს ესკადრა ნელ-ნელა სამხრეთისაკენ უნდა წასულიყო და რუსის ფლოტი გაშლილ ზღვაში გაეტყუებინა. ამავე დროს მეორე ესკადრა ერთ კუნძულთიან იდგა დამალული; რამწამს რუსის ფლოტი კუნძულს მიუახლოვდებოდა, მაშინვე უცებ გვერდიდან დაეცემოდა. რუსის ადმირალი-კი სულ სხვას ცდილობდა. რუსები ყოველნაირად ეცადნენ, რომ იაპონიის ესკადრა პორტ-არტურს ახლო მიეტყუებინათ და იქ ციხის ბატარეების დახმარებით შებრძოლებოდნენ. კონტრ-ადმირალი ვიტგეფტი ისე მოიქცა, როგორც განსვენებული მაკაროვი იქცეოდა თებერვლის გასულსა და მარტის დამდეგს: გარე რეიდზე ბატარეებს ახლო დადგა. 10 ივნისსაც რუსის ესკადრა პორტ-არტურის რეიდისა და ბატარეებისაკენ გაეშურა, მაგრამ ადმირალმა ტოგომ ნაღმიანი გემები დაადევნა უკან წასულ ესკადრას და გზაშივე იერიში მიიტანა; მერე ღამეც მრავალჯერ მიიტანეს იერიში იაპონიის ნაღმიანმა გემებმა. 10 ივნისს გამოჩნდა, რომ რუსის ესკადრას გაშლილ ზღვაში ბრძოლის თავი არა აქვს, იაპონიის ფლოტს კი გაშლილ ზღვაში სწადიან ბრძოლა. ეხლა რუსები, უეჭველია, ადმირალ მაკაროვის ტაქტიკაზე ხელს აიღებენ, პორტ-არტურის შიდა რეიდზე გაჩერდებიან და გასავლის დარაჯობას შეუდგებიან, რომ იაპონელებმა ხელ-ახლად არ შეჰკრან. ასე რომ ეხლაც უმთავრესი მნიშვნელობა ხმელეთზე ბრძოლას აქვს; საინტერესო ისაა, რით გათავდება ბრძოლა გაიპინგთანა და ხაიჩენთან.

„სტანდარდ"ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონური პრესა დიდის ინტერესით ჰკითხულობს, რისთვის გამოვიდა რუსის ესკადრა პორტ-არტურიდანაო. ზოგი ჰფიქრობს, პორტ-არტურის ესკადრა ან ვლადივოსტოკის ესკადრასთან შეერთებას აპირობდა, ან რომელსამე ნეიტრალურ პორტში შესვლასაო. მაგრამ რუსებმა მალე გაიგეს იაპონიის ფლოტის ძალა და ისევ უკან გაბრუნდნენ და გარე რეიდზე დადგნენო. პრესა სალამს უძღვნის იაპონიის ფლოტს და თან ურჩევს, ეხლა უფრო სიფრთხილე გმართებთ, რადგან რეიდის გასავალი გაწმენდილი ყოფილა და რუსის დიდ გემებსაც ზღვაში გამოსვლა შეუძლიანთო. („პ. ვ.").

„სტანდარდ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: კონტრ-ადმირალ ვიტგეფტს, ალბად, ნიუ-ჩუანში (ინკოუში) მიჰყავდა თავისი ესკადრა, რომ გენ. კუროპატკინისა და გენ. შტაკელბერგის ჯარისათვის დახმარება გაეწიაო. („ბ. ვ.").

საზღვარ-გარედ

ტიბეტი. მკითხველებმა იციან დეპეშებიდან, რომ ინგლისელთ ამ ჟამად გაცხარებული ბრძოლა აქვთ ტიბეტელებთან. შორეულ-აღმოსავლეთის ომმა ჩაჩრდილა ინგლისელების ეს ახალი „ექსპედიცია": სხვა დროს ეს ამბავი დიდ აურზაურს გამოიწვევდა და დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს ერთმანეთს შეახეთქებდა. ნამეტურ რუსეთი დღევანდელივით გულგრილად არ მოეკიდებოდა ამ საქმეს, ომში რომ არ იყოს გართული, რადგან ტიბეტი რუსეთის იმპერიის მოსაზღვრეა აზიაში. დღეს კი, ჯერ-ჯერობით მაინც, ინგლისი დაუბრკოლებლივ ასრულებს თავის წადილს... რას წარმოადგენს ტიბეტი და რა უნდა მისგან ინგლისს?

ტიბეტი ჩინეთის პროვინცია არის და უჭირავს ამ იმპერიის სამხრეთ-დასავლეთი განაპირა ნაწილი; ჩრდილოეთ დასავლეთით ესაზღვრება აღმოსავლეთ თურქესტანს (რუსეთი), ხოლო დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით—ქაშმირსა და ინდოეთს (ინგლისი). რუსეთისა და ინგლისის სამფლობელოთა სიახლოვემ დაბადა ის გარემოება, რომ ტიბეტი „გემრიელ ლუკმად" გადაიქცა სამ უდიდეს იმპერიისათვის დედა-მიწის ზურგზე: ჩინეთისა, რუსეთისა და ინგლისისათვის. სივრცე ამ ქვეყნისა უდრის 21 ათას გეოგრაფიულ ოთხკუთხ მილს, რომელზედაც ცხოვრობს $2^1/_2$ მილიონი ტიბეტელი და სხვა მოდგმის ხალხიც. მეტად მთიანი ქვეყანაა, მკაცრის სუსხიანის ჰავითა და ღარიბის ნიადაგით; მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია მდიდარის ბუნებისა და აქ მცხოვრებნი ხვნა-თესვას მისდევენ, დანარჩენს ქვეყანაში საქონლის მოშენებით შოულობენ ლუკმა-პურს. მიუვალი მთაგრეხილები და მთის მდინარეები ჰყოფენ ტიბეტს რამდენსამე ნაწილად, რომელნიც წინად დამოუკიდებელი სამთავროები იყვნენ. როგორც კავკასია, ტიბეტიც სხვა და სხვა ხალხით არის დასახლებული: ტანგუტები, გოლოკები, არსუტები, დოლო, ბომა და სხვა; უმეტესი ნაწილი ტიბეტელთა მოდგმისაა, ზოგი—სულ სხვა მოდგმის ხალხია, როგორც, მაგალითად, ლოლო და ბომა, რომელთა წინაპრები თეთრ თმიანნი არიელები უძველეს დროში მოსულან აქ და შერეულან უგითელ-განიანებში. ტიბეტელებმა მეორე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე მიიღეს ბუდდას სარწმუნოება და მეტად მორწმუნე ხალხია. მცხოვრებთა დიდი უმეტესობა სასულიერო წოდებას ეკუთვნის, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს: სასულიერო წოდება ჰმართავს ქვეყანას,—მის ხელშია სასამართლო, სასწავლო, საადმინისტრაციო და საფინანსო საქმეები; ასე რომ ტიბეტი თეოკრატიული სამთავროა, რომლის სათავეშიაც უმაღლესი სასულიერო პირი სდგას—დალაილამა; ეს განაგებს ტიბეტის საქმეებს, რისთვისაც 100 ათასზე მეტი მოხელე-ბერი ჰყავს ჯამაგირში. ქვეყანა მოფენილია მონასტრებით და სწორედ ეს მონასტრები წარმოადგენენ სამმართველო ცენტრებს და იმათ ირგვლივ აშენებულია ტიბეტელებთა სოფლები და ქალაქები, რომელთა შორის უმთავრეს ქალაქად ითვლება ლხასი; აქ ცხოვრობს ჩინეთის წარმომადგენელი (რეზიდენტი) ტიბეტში და სდგას ჩინელთა მცირე რიცხვოვანი ჯარი. ტიბეტის სამთავროებმა რამდენიმე საუკუნეა დაჰკარგეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შეუერთდნენ ჩინეთს, მაგრამ ეს შეერთება ნომინალურია და არა ფაქტიური: ტიბეტის შინაურ საქმეებში ჩინეთი არ ერევა და კმაყოფილია იმით, რომ დალაი-ლამა ორ-სამ წელიწადში ერთხელ საჩუქრებსა და ძღვენს უგზავნის თავის „უზენაეს მფარველს"—ჩინეთის იმპერატორს; პეკინში ამ საჩუქრებსა და ძღვენს ტიბეტელთა ხარკად სთვლიან, ხოლო ლხასში უბრალო საჩუქრებად ნიშნად პატივისცემისა „უზენაეს მფარველისადმი". მაგრამ, ბოლო დროს ჩინეთმა განიზრახა თავის ბატონობის გაძლიერება ტიბეტში და ამიტომ გააფართოვა თავის რეზიდენტის უფლებანი: მიანიჭა მას იმპერიის მხრით კონტროლის ნება ტიბეტის შინაურ საქმეებზე; ამას აღსრულება ჩინეთს გაუადვილა იმ გარემოებამ, რომ დალაი-ლამის არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია და ამასთანვე დალაი-ლამა ჯამაგირსაც იღებს პეკინის ხაზინიდან. თვით ტიბეტელები,—ეს მეტად მშვიდი და გულკეთილი ხალხი,—წინააღმდეგნი არ არიან ჩინეთის ბატონობის გაძლიერებისა, რადგან ევროპიელების გაბატონებისა უფრო ეშინიათ...

ამგვარად ტიბეტი, თავის-თავად, არაფერს საინტერესოს არავისთვის არ წარმოადგენს, მაგრამ მისი უბედურება ისაა, რომ ჩაჩხირულია უდიდეს იმპერიების სამფლობელოთა საზღვრებში. ტიბეტი წინა სტრატეგიული ბაზისია ჩინეთისთვის, რუსეთისთვის და ინგლისისათვის; ვინც აქ გამაგრდება, იმედი ექნება, რომ უზრუნველ ჰყოფს თავის სამფლობელოს მტრის თავდასხმისაგან. ინგლისი, რომელიც დიდის ეჭვით უყურებს რუსეთს და სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება მიუვალად გახადოს ინდოეთის საზღვრები, კარგა ხანია მოწადინებულია პოლიტიკური გავლენა მოიპოვოს ტიბეტზედაც. მაგრამ დღემდის, რუსეთის მორიდებით, აქტივურ მოქმედებას არ იწყებდა; ხოლო ეხლა, როცა რუსეთს მძიმე ომი დაატყდა თავს, დიდ-ბრიტანიამ ისარგებლა შემთხვევით და „ტიბეტთან ზოგიერთ სადავო საქმეების მოსაწყობად" სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა. ტიბეტელებმა თოფ-იარაღი აისხეს და განიზრახეს მტრის მოგერება, მაგრამ აბა რას გააწყობენ თავიანთ კაჟიანის თოფებითა და „წარღვნის დროის" ზარბაზნებით უძლიერეს ინგლისთან?! დიდბრიტანიის ძლევა-მოსილი ექსპედიცია, როგორც დღევანდელ დეპეშებიდანაც ჩანს, თითქმის დაუბრკოლებლად მიიწევს წინ და, რასაკვირველია, სულ მოკლე ხანში დასძლევს ტიბეტელთა წინააღმდეგობას... რაღას უყურებენ სხვა დაინტერესებული სახელმწიფოები? რუსეთმა დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა, მაგრამ რა შედეგი მოჰყვა ასეთს ნაბიჯს, ჯერ არ ვიცით; არც ის შეიძლება ვიცოდეთ ჯერ, რა გზას დაადგება რუსეთი, თუ ინგლისის მოქმედება უფრო შორს წავიდა, ვიდრე იმათი დიპლომატიური და დამამშვიდებელი განცხადება—ტიბეტის დამოუკიდებლობის და ამ ქვეყანაში ჩინეთის უპირატესობის წინააღმდეგს არაფერს არ განვიზრახავთო... ჩინეთის მთავრობაც ჯერ-ჯერობით ხმას არ იღებს: იგი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს რუსეთ-იაპონიის ომს, რადგან დარწმუნებულია, რომ იქ, შორეულს აღმოსავლეთში, უფრო ძლიერი ტრაგედია დაიწყო, რომლის ასე თუ ისე გათავება მისთვის უფრო დიდმნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ტიბეტის დღევანდელი სვე-ბედი.

ახალი ამბავი

† გუშინ დეპეშამ მეტად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა აბასთუმნიდან: მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილა ჩვენი დაუღალავი და მეტად სასარგებლო მოღვაწე ქუთაისის საუკეთესო კერძო სამკურნალოს დამაარსებელი და გამგე **სამსონ ბესარიონის ძე თოფურია**. ასეთის ადამიანის დაკარგვა, რომელსაც, სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა ჰყავს მსგავსი, დიდი დასაკლისია ჩვენის ქვეყნისათვის; ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ სამსონ თოფურია შედარებით ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო და ამ დაუღალავ ენერგიის პატრონს კაცს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. საუბედუროდ, წლევანდელი წელიწადი ამ მხრივ მუხთალი გამოდგა ჩვენთვის: რამდენიმე მხნე მოღვაწე მოგვტაცა უწყალო სიკვდილმა. როგორც გვატყობინებენ, მთელი თავისი ქონება ქალაქისათვის უანდერძებია განსვენებულს.

◆ **სპარსეთში ხოლერის გაჩენის** გამო მთავარ-მართებლის განკარგულებით, ტფილისის გუბერნატორმა გუშინ მისწერა გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, მაზრის უფროსებს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს და სხვებს, განკარგულება მოახდინონ, რომ განახლებულ იქმნას სანიტარული მოქმედება ქალაქებისა, დაბებისა და სოფლების დასაწმენდად და დასასუფთავებლად და, საზოგადოდ, საჭირო

ფელეტონი

მუშა ხელოსანთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ *)

ამ წესდებაში ღირს-შესანიშნავი და საყურადღებო მხოლოდ ორი მუხლია: მე-430 და და მე-431. ეს ორი მუხლი აწესრიგებს სახელოსნოებში სამუშაო დროს. მე-430 მუხლის ძალით, მუშაობა სახელოსნოებში უნდა იწყებოდეს დილის ექვს საათზე და თავდებოდეს საღამოს ექვსზედვე. აქედან ნახევარი საათი საუზმეს და საათ-ნახევარი სადილს რომ მივსცეთ, ნამდვილი სამუშაო დღე ათი საათი დარჩება. მე-431 მუხლით კი, კვირა და ათორმეტ საუფლო დღესასწაულებში, თუ „აუცილებელი საჭიროება არ ითხოვს", მუშაობა აკრძალულია. ეს მუხლი, როგორცა სჩანს, კვირა-უქმე დღეებში მუშას თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა ძნელი სათქმელია, თუ როდის არის ხოლმე „აუცილებელი საჭიროება", რადგან არავითარი ამის განმსაზღვრელი საზომი არ არსებობს. ამ ორი მუხლის გარდა ბევრიც რომ ვძებოთ სახელოსნო წესდებაში მუშის მდგომარეობის გამაუმჯობესებელს ვერაფერს იპოვნით. ყველა დანარჩენ მუხლს ნათლად ატყვია იმ „კეთილ ძველ დროის" ბეჭედი, როდესაც შემუშავებულ იქმნა ეს წესდება, თუმცა მისი დამტკიცება მოხდა რუსეთში მოქალაქობრივ ცხოვრების გარიჟრაჟზე, ე. ი. 1859 წელს. წესდება, მაგალითად, ადას ნებას აძლევს, შაგირდი დასაჯოს და ამასთანავე სრულებით არა ხსნის, რა სახით ან რა წესით უნდა დასაჯოს იგი. წესდებაში აღნიშნული არ არის რამდენის წლის ბავშვი უნდა მიიღონ შაგირდად და სხვა-და-სხვა. ამ მოკლე წერილში ჩვენ აზრად არა გვაქვს უფრო ვრცლად შევეხოთ წესდების ღირსება-ნაკლულევანებას, ჩვენი მიზანია მხოლოდ, მკითხველს წარმოუდგინოთ მუშა ხელოსანთა აწინდელი მდგომარეობა, თუმცა კი, ვფიქრობთ, მათ მდგომარეობის გათვალისწინებაც საკმარისია, რომ კაცმა წესდების სიავ-კარგე ჯეროვნად დააფასოს.

ამ ნაირად, კანონით სამუშაო დღე ათ საათს არ უნდა აღემატებოდეს, მაგრამ, საუბედუროდ, სიტყვა რომ საქმედ იქცეს, მარტო ლიტონი კანონი საკმარისი არაა. საჭიროა, კანონის აღსრულებას სასტიკი თვალ-ყურის მდევნელი ჰყავდეს. კანონის დარღვევა დაიგმოს და დამრღვევს შესაფერი სასჯელი მიეზღოს. ჩვენში მაგის მსგავსიც არაფერი არსებობს. ზემოხსენებული მუხლი სრულდება თუ არა, ყურს აღარავინ უგდებს.

ცხადია, რომ ადებმა კარგადაც რომ იცოდნენ წესდების მოთხოვნილება, ან უეჭველად თავიანთ სასარგებლოდ ახსნიან ან ეცდებიან როგორმე სულ ჩააფუჩეჩონ, რადგან კანონის პირ-ნათლად შესრულება მათთვის ხელ საყრელი არაა. თუმცა მე-344 მუხლის ძალით ამქრის უსტაბაშები და მათი თანაშემწენი ვალდებულნი არიან პასუხი აგონ, თუ ვინიცობაა, ხელოსნებმა წესდების მოთხოვნილება პირნათლად არ შეასრულეს, მაგრამ ისინიც, რაკი დარწმუნებულნი არიან, რომ მათ თვალ-ყურს არავინ ადევნებს, არც თვითონ ასრულებენ წესდებას და არც სხვას აიძულებენ, რომ შეასრულონ. ამასთანავე წესდება არ საზღვრავს, კანონის დამრღვევის წინააღმდეგ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ უსტაბაშებმა, დამნაშავენი რა სახით ან რანაირად უნდა დასაჯონ. მაშასადამე, არც იქით და არც აქეთ, ამნაირი კანონი თავის თავად ისპობა.

რაც შეეხება მუშა ხელოსნებს, მათ ბოლო ხნობამდი არც კი იცოდნენ, მგონი, დღეში ათ საათის მაწესრიგებელი კანონი სადმე არსებობდა თუ არა. არც ის იცოდნენ, თუ როგორ უნდა აეძულებინათ ადები, რომ სამუშაო შეემცირებინათ, თუმცა ამის საჭიროებას კი მუდამ კარგად ჰგრძნობდნენ ხოლმე. მუშა ხელოსნებს, ამ ნაირად, ერთი-და დარჩენოდათ, რომ თავიანთ თავისთვის თვითონვე ეზრუნათ, რაც ზოგიერთებმა (ალბად, უფრო განვითარებულებმა) კიდევაც მოახერხეს იმით, რომ, როგორც გაზეთებიდან ვიცით, საშველად ქალაქის საბჭოებს მიჰმართეს. მაგრამ ასეთი ქალაქები რუსეთში ბევრი არაა და მუშათა დიდი უმეტესობა, ცალკე უვიცობის და ცალკე ეკონომიურ გაჭირვების მიზეზით, ეჭვი არაა, ადახელოსნებსაგან იყვლიფება—დღეში 14—18 საათს მუშაობს.

სიმართლე უნდა აღვიაროთ, რომ პრესა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ყოველთვის ხმამაღლა დაღადებდა და მუშა ხელოსანთა ბეჩავ მდგომარეობაზე მთავრობას უთითებდა ხოლმე. პრესა დაჟინებით თხოულობდა, რომ სახელოსნო მრეწველობათათვის უკვე არსებული საფაბრიკო კანონმდებლობა შეეფარდებინათ და უეჭველად სახელოსნოებიც საფაბრიკო ინსპექციისათვის დაემორჩილებინათ. ხმა მისი, საუბედუროდ, მუდამ უპასუხოდ რჩებოდა, მხოლოდ უკანასკნელ დროს ყველა დაარწმუნდა, რომ ხსენებული საკითხი მომწიფებულია და მისი ასე თუ ისე გადაწყვეტა აუცილებლად საჭიროა.

მკითხველს შეიძლება ახსოვდეს ზოგიერთ გუბერნატორების ეხლანდელი განკარგულება, რომ სახელოსნო წესდების მე-430 და 431 მუხლი უსათუოდ რიგიანად შესრულებულ იქმნას ხოლმე და მისი სისრულეში მოყვანა საზოგადო პოლიციას დაევალა, ზოგიერთ შემთხვევაში კი სახელოსნო ადმინისტრაციას.

ესეც გვარიანი ნაბიჯია. სხვა არა იყოს-რა, ისიც კარგია, რომ ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობა ბოლოს მაინც დარწმუნებულა, რომ მუშა-ხელოსანთა ანორმალური მდგომარეობა ცხადი ფაქტია, რომელსაც უსათუოდ ანგარიშის გაწევა სჭირია. უმაღლეს მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელიც ასევე ჰფიქრობს. ასეთ აზრის გამოთქმას გვაბედვინებს შინაგან საქმეთა მინისტრის ეხლანდელი განკარგულებაც, რომ პეტერბურგის სახელოსნოებში წესდების მე-430 და 431 მუხლი უსათუოდ სასტიკად დაცულ უნდა იქმნას ხოლმე.

სიხარულით ვეგებებით რა ამ განკარგულებას, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ საზოგადო პოლიცია უიმისოდაც თავის საკუთარ საქმეებში ყელამდე ჩაფლულია და საკვირველიც არაა ამ საქმის ჯეროვან ყურადღების მიქცევაც ვერ შეუძლოს. სახელოსნო ადმინისტრაციამ-კი ერთხელ კიდევ დაამტკიცა ამგვარ ფუნქციისათვის თავისი სრული უვარგისობა. გარდა ამისა მე-430 და მე-431 მუხლები, როგორც მოვიხსენიეთ, ეხება მხოლოდ სამუშაო დღეს და კვირა-უქმეების დასვენებას და არა მთლად შრომასა და კაპიტალისტურ ურთი-ერთ დამოკიდებულებას სახელოსნო წარმოების ასპარეზზე. ამიტომ შეუძლებელია, კაცი დამშვიდდეს და მხოლოდ ადმინისტრაციის ჩარევა ამ საქმეში ჯეროვან წამლად მიიჩნიოს.

ამ საქმეში სასურველ შედეგის მისაღწევად უთუოდ საჭიროა სახელოსნო ინსპექციის დაარსება ან სახელოსნო მრეწველობის საფაბრიკო ინსპექციისათვის დამორჩილება. როგ[illegible]

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2531.

TBA

ზომების მისაღებად. გუბერნატორმა ამასთან დაჰზავნა მთავრობის მიერ გამოცემული წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ხოლერასთან ბრძოლის დროს.

✦ ტფილისის გუბერნატორმა **სამხედრო სამინისტროსაგან მოწერილობა** მიიღო. მოწერილობაში სამინისტრო ატყობინებს, რომ, სამხედრო ბეგრის წესდების მე-2 მუხლის ძალით, იმ სათადარიგო ჯარის-კაცთ, რომელნიც სამოქალაქო უწყების სამსახურიდან გაწვეულ იქნებიან, შეენახებათ ჯარში ყოფნის დროს ყველა ის უფლება და ჯამაგირი, რომელსაც სამოქალაქო უწყების თანამდებობა აძლევდათ.

✦ 23 ივნისს ტფილისის ქალაქის გამგეობისა და მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველ კომისიის შეერთებულმა კრებამ აარჩია მცირე კომისია და დაავალა იმ **საავადმყოფოს პროექტის განხორციელება**, რომელიც უნდა აშენდეს გ.ნ არამიანცის მიერ შეწირულ ფულით. მცირე კომისიაში მოჰყვნენ ა. ი. ხატისოვი, თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი და ექიმი ავთანდილოვი.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს იმ ადგილებში, სადაც **მეაბრეშუმეობას მისდევენ**, დააარსოს პრაქტიკული სკოლები ფეიქრებისა და მღებავთათვის, აგრეთვე რამდენიმე საფეიქრო სადგური.

✦ 23 ივნისს ბაქოში შესამჩნევად **მიწა იძრა** თურმე. უბედურება არა მომხდარა-რა.

✦ 24 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ტფილისის მცხოვრების მიხეილ კობახიძისა და ქუთაისის გუბერნიის მც. მიხეილ მჭედლიშვილისა და ვასილ იაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ დღისით, პუშკინის ქუჩაზე, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების კარებში, თურინჯ **ვლასოვის დაჭრა და გაძარცვა**. როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო სამივე ბრალდებული და გადაუწყიტა იმათ ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში ათ-ათის წლით გაგზავნა. პალატაში იაშვილს იცავდა ნაფ. ვექილი ოპოჩინინი, კობახიძეს თავ. ბარათაშვილი, ხოლო მჭედლიშვილს—ნაფ. ვექილი კლანკი. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ კანდიდატებად **ბაქოს ქალაქის მოურავის** თანამდებობაზე, როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, ასახელებენ ქალაქის მოურავად ნამყოფს კ. ა. ირეცკის, ბეკენდორფს, „კასპი"-ს რედაქტორს ტობჩიბაშევს და სხვებს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას მოუვიდა ინჟენერის ველსის მიერ შედგენილი პროექტი ქალაქის **ახალ საყასბოს სადგომისა**. ინჟენერი სთხოვს გამგეობას, გაიცნოს პროექტი ისე-კი, რომ სხვამ არავინ ისარგებლოს პროექტში მოთავსებულ ცნობებით.

✦ როგორც „კავკ."-ს დეპეშით ატყობინებენ, **დათხოვნილ იქმნა** სამსახურიდან ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის უფროსის თანაშემწე ტრიპოლსკი.

✦ 20 ივნისს, საღამოთი, ოთხმა ბოროტმოქმედმა მოიწადინა **ექიმის ყარამან ჩიქოვანის გაქურდვა**. ბ-ნი ჩიქოვანი სცხოვრობს რაზუმნი ქუჩაზე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ. ამ დღეს, როდესაც ჩიქოვანს ავადმყოფების მიღება გაუთავებია და წასვლა დაუპირებია, სამი უცნობი კაცი შესულა ზალაში. ერთს თავი ჰქონია შეხვეული ყაბალახით, ორს კიდევ ყბებზე ტილოები აეხვია. ერთს, რომელიც კაბინეტში შეუწვევია ექიმს, უთქვამს, ყელი მტკივაო. ექიმს გაუსინჯავს ყელი, მაგრამ ვერაფერი უნახავს. ამის შემდეგ ამ ბოროტ-განმზრახველს გაუღია კაბინეტის კარები და ორი თავისი ამხანაგი კარებში ჩაუყენებია; თვითონ უშიშველნია ხანჯალი, თავზე დასდგომია ექიმს, რომელიც სტოლთან იჯდა, და ფული მოუთხოვნია. ხმაურობაზე მისულა ექიმის მოსამსახურე, მაგრამ ისიც შეუჩერებიათ და აღარ გაუშვიათ. ჩიქოვანს ჯერ დარიგება დაუწყია, უთქვამს იშრომეთ, და ისე იშოვნეთ ფული, მე სადა მაქვსო. მერე ამოუღია ჯიბიდან ქისა, რომელშიაც სამი მანეთი ყოფილა, და გადაუცია, გაუხდია აგრეთვე პიჯაკი და ისიც მიუცია, ნახეთ ჯიბეში თუ არის ფულიო. ამასთან ექიმს უთქვამს, ხვალ ბევრი ფული მექნება, მაშინ მოდით და მოგცემთო. სწორედ ამ დროს ტელეფონით ექიმი ვიღაცას გამოუწვევია. ბოროტ-განმზრახველთ წკარუნზე შეშინებიათ, გავარდნილან გარედ და დამალულან. სულ ოთხნი ყოფილან, ერთი ქუჩიდან შესავალ კარებში ყარაულობდა თურმე. პოლიცია 22 ივნისს შესდგომია ძებნას და მალე დაუპატიმრებია კიდეც ამ საქმის ჩამდენნი, რომელნიც აღმოჩნდნენ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი ფილიპე მამინაიშვილი, ალექსი გეგეჭკორი, ნესტორ ხელაძე და გაბისონია. დამნაშავენი უკვე გამოსტეხიან პოლიციას.

✦ ტფილისის გუბერნატორმა 25 მანეთით დააჯარიმა ნავთის-მწარმოებელთა „სვეტი"-ს ამხანაგობის პატრონი ტურინ ვლასოვი, ხოლო 10 მანეთით მე-3 უბანში ალექსანდრე ვართანოვი, დავით აივაზოვი, არტემ ახვერდოვი, ილია გედევანიშვილი, ალექსანდრა ბერძნიშვილისა. მე-8 უბანში ნიკოლოზ სტეფანოვი და მარიამ სკოროხოდოვი.

ქუთაისის ახალი ამბავი

✦ კვირას, 20 ივნისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ბ-ნ კალანდარიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა ქუთათურ ნოქართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება. საზოგადოებას აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება. როგორც კრებაზე აღმოჩნდა, ბევრს წევრს რუსული არ გაეგება და თხოვდნენ თავმჯდომარეს, ქართულად გაგვაგებინეთ წესდების შინაარსიო. ის კი ნოქართა სამართლიანს თხოვნას ყურადღებას ნაკლებად აქცევდა და რუსულად განაგრძობდა წესდების კითხვას, სანამ იძულებული არ გახდა კითხვისთვის მთლად დაენებებინა თავი. ბევრის ხრიალ-ხრიალის შემდეგ კრება შეუდგა საზოგადოების გამგეობის არჩევას. გამგეობის თავმჯდომარედ ასახელებენ დ. პ. მდივანს და დ. ნ. ავალიანს. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა უკანასკნელი, მაგრამ ამან უარი განაცხადა, თავისუფალ დროის უქონლობისა გამო. შემდეგ მიმართეს ბ-ნს მდივანს, რომელმაც თანხმობა განაცხადა. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ-ნნი ადამია, კემულარია, ყუფარაძე, საკოვი და ქუთათელაძე; ამათგან ბ-ნს საკოვს დაევალა ხაზინადრობა და ქუთათელაძეს მდივნობა.

✦ 20 ივნისს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ქუთათურ მოქალაქეთა მამასახლისის არჩევნები. ყუთი დაიდგეს ძველმა მამასახლისმა ბ-ნმა არჯავანიძემ და გოგოლაშვილმა. პირველმა მიიღო 196 თეთრი და 104 შავი, მეორემ—162 თეთრი და 138 შავი.

✦ ამას წინად ვწერდით, რომ „კოლხიდის" კრება ქუთაისში დანიშნულია 28 ივნისისათვისაო. როგორც ეხლა გვატყობინებენ, კრება დანიშნულია 30 ივნისისთვის.

✦ კვირას, 20 ივნისს, ქალაქის თეატრში რუსის დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთაგან გამართულ იქმნა წარმოდგენა ჩვენის ნიჭიერ მსახიობის ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ, რომელიც ავადმყოფობის გამო იძულებულია ამ ზაფხულში სააგარაკოდ წავიდეს. წარმოდგენილ იქმნა როვეტის სამ მოქმედებიანი დრამა „Безчестными не родятся" და ვოდევილი „Благотворительница". წარმოდგენის სიმპატიურმა მიზანმა თეატრში დიდს საზოგადოებას მოუყარა თავი, თუმცა წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა.

✦ 20 ივნისს, შუადღეზე, ქუთაისში უეცრად ავად გახდა ერთი ახალგაზდა ქალი—ა—ის ასული. საცოდავს მთელი შუშა წმინდა კარბოლის სიმჟავე დაელია, რომელსაც სულ დაეწვა როგორც ხახა, ისე შიგნეულობა. ექიმები მალე დაასიეს, რომელთაც ყოველი ღონისძიება იხმარეს მოწამლულის მოსაბრუნებლად, მაგრამ ვერას გახდნენ. ნაშუადღევის ხუთ საათზე ქალი გარდაიცვალა.

რუსეთის ქრონიკა

✦ 16 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე, მოსკოვში ძლიერი ქარი ამოვარდა. წვიმა მოვიდა და ისე დაბნელდა, რომ უსანთლოდ კითხვა არ შეიძლებოდა. ამ დროს ქალაქის განაპირა ადგილებში საშინელი უბედურება დატრიალდა. ლეფორტის უბანში მძლავრი გრიგალი ასტყდა, მთლად გაანადგურა ანენგობის პატარა ტყე: ძირიან ფესვიანად მოსთხარა უზარმაზარი ხეები. ყველა სახლებში ჩამტვრეულია ფანჯრები, ბევრს მოგლეჯილი აქვს სახურავები; ბევრი სახლი სრულებით დანგრეულია. მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს მუსრი გაავლო საშინელმა გრიგალმა, მოჰგლიჯა ქარხნებს 600 ფუთიანი საკვამლეები და რამდენიმე საჟენის მანძილზე გადაისროლა.

ქალაქის საავადმყოფოებში უკვე მიუყვანიათ 233 მძიმედ და მსუბუქად დაჭრილი მოსკოვის მცხოვრებელი. ჯერ-ჯერობით უნახავთ მოკლული 9 გვამი. ფიქრობენ, რომ ბევრნი ნანგრევებს ქვეშ არიან დამარხულნი. ერთი დანგრეული სახლი გათხარეს და იპოვეს შიშისაგან სულ-განაბული 9 წლის პატარა ბიჭი, რომელმაც მთელი ღამე გაატარა ნანგრევებს ქვეშ და, საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა.

მთელი მოსკოვის პოლიცია და ექიმები ფეხზე არიან დაყენებულნი. დანგრეულ სახლებს მრავალი მუშა ასევია.

საშინლად დაზარალდნენ გრიგალისაგან მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე საგარაკო ადგილები. სოფ. ჩაგი სრულებით განადგურებულია. 6 საგარაკო ადგილი საშინლად არის დაზარალებული. სოფ. ლიუბლინოში დანგრეულია 60 საგარაკო სახლი და 80 დესიატინაზე ძირიან-ფესვიანად ამოთხრილია დიდრონი ხეები. გრიგალი იტაცებდა ქუჩებში ცხენებს და ბუმბულივით ატრიალებდა ჰაერში.

მრავალი ხალხი დაშავდა და დაიჭრა სოფლებში და საგარაკო ადგილებში. დაიჭრა და დაილუპა მრავალი საქონელი.

მოსკოვის დანგრეული ნაწილი უდაბნოს წარმოადგენს.

✦ ბალტიის მხარის ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია ლიფლიანდიის გუბერნატორის განკარგულება, რომლითაც აკრძალულია ქ. რიგის ქუჩებში, მოედნებზე და ბაღებში ყრილობანი, კრებების გამართვა კერძო სახლებში საიდუმლო განზრახვით და სხ.

✦ ვარშავის ბანკებს გამოუცხადებიათ პროტესტი რუსეთის შიგა გუბერნიის ვაჭრების მრავალ ვექსილებზე. ვალი 2 მილიონ მანეთამდეა. ზოგიერთი მდიდარი ვარშაველი ვაჭრები თავიანთ წარმომადგენლებს ჰგზავნიან შიდა გუბერნიებში ქესატობის მიზეზის შესატყობად.

დებულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. ინგლისში, მაგალითად, არა თუ ზედამხედველობა, სხვა ყოველ-გვარი საფაბრიკო კანონი სახელოსნო სამრეწველოსათვისაც სავალდებულოა. ამნაირად საქმის მოწეს-რიგება ჩვენშიაც შესაძლებელია, როგორც ბევრი გამოცდილი და სანდო პირი მოწმობს. ერთად-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელსაც ასახელებენ ამის განსახორციელებლად, ფულის უქონლობაა. სახელმწიფო ბიუჯეტი უამისოდაც მრავალ-გვარ მოთხოვნილებით დატვირთულია და გადასახადის რაოდენობაც უკიდურესს წერტილამდე მისულიაო, მაგრამ ასეთმა არგუმენტმა, არა მგონია, ვინმე დაარწმუნოს, რადგან სხვა უფრო უმნიშვნელო საჭიროებისათვის, როცა უნდათ, საშუალება ყოველთვის მოიძებნება ხოლმე, როგორც, მაგალითად, შარშან სასოფლო პოლიციის გასაწყობად ათი მილიონი მანეთი გადაიდვა. სახელოსნო ინსპექციის დასაარსებლად ან უკვე არსებულ საფაბრიკო ინსპექციის გასაძლიერებლად (სულ ერთია მაინც საკმარისი არაა) არც ისე დიდი თანხაა საჭირო, რომ იმ სიკეთედ არ ღირდეს, რა სიკეთესაც მოუტანს მუშა-ხელოსნებს იმათ მდგომარეობის კანონიერი მოწეს-რიგება.

ამნაირად თავდა-პირველად საჭიროა, რომ მუშა-ხელოსანთა და ადა-ხელოსანთა ურთი-ერთ დამოკიდებულება მოწესრიგდეს და მთავრობისაგან ბეჯითი თვალ-ყურის მგდებელი დაინიშნოს. შემდეგ კი სახელოსნო სამრეწველოსაც უნდა გადაწვდეს 1882 და 1885 წლების კანონი ქალთა და მცირე-წლოვანთა მუშაობის შესახებ. თუ მცირეწლოვანთა მუშაობის დრო ქარხნებში შემცირებულია, ნეტავ სახელოსნომ რაღა დაშავა. ეხლანდელ დროში სახელოსნოში ხშირად შეხვდებით 6—7 წლის მომუშავე ბავშსაც და ამ შემაძრწუნებელ ფაქტს ვერავითარი მოსაზრება ვერ გაამართლებს. ბავშს 12 წლამდის სრულიად უნდა აეკრძალოს სახელოსნოში მუშაობა; ამასთანავე თუ პირველ-დაწყებითი სწავლა არ მიუღია, უნდა მიადებინონ, ყოველ შემთხვევაში წერა-კითხვა მაინც უნდა ასწავლონ. მცირე-წლოვანთა მუშაობა უნდა გრძელდებოდეს 6—7 საათს დღისით და ღამით კი უსათუოდ უნდა აეკრძალოთ. ამნაირადვე უნდა მოწესრიგდეს ქალთა და მოზარდთა (15 წ.) მუშაობის დროც. მოზარდთ ღამე მუშაობა სულ უნდა აეკრძალოთ და ქალთ შეუმცირდეთ. ეხლა კი ძლიერ გავრცელებულია ღამე მუშაობა „მოდის" და თეთრეულის სამკერვალოებში, სადაც, ორთა შუა რიცხვით, დღე და ღამე მუშაობა 18—20 საათამდის გასტანს ხოლმე. სამკერვალოებში მოქალებულ ნაწილად ახალგაზდა, ჯერ კიდევ ნორჩი, ფიზიკურად განუვითარებელი ქალები და გოგოები მუშაობენ. მათი ფერმკრთალი სახე და უდროვოდ მოკუზული ტანი ძალაუნებურ მონობის ცხადი საბუთია.

საჭიროა აგრეთვე მოწესრიგდეს ჯარიმის და სხვა და სხვა დასჯის სისტემაც. აჯარიმებენ როგორც დიდებს, ისე პატარა შაგირდებსაც. მე-399 მუხლით შაგირდის უმიზეზოდ დასჯა აღკრძალულია, მაშასადამე, მიზეზისთვის კი ნება დართულია და მაგარიც ისაა, რომ როგორ უნდა დასაჯონ, ან დასჯის სისრულეში მოყვანას თვალყური ვინ უნდა ადევნოს, ამაზე წესდებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ამ შემთხვევაში ადა-ხელოსნებს სრული უფლება აქვთ მინიჭებული და ვერც ვიტყვით, რომ მათ ეს უფლება, შეგირდების სიბეჩავის წყალობით, ცუდადაც გამოუყენებიათ ხოლმე. თვითნებობა და უმსგავსი მოპყრობა ადალ-ხელოსანთაგან შაგირდთადმი არა ერთხელ ყოფილა სასამართლოშია განხილული, სადაც ისეთი რამეები გამოაშკარავებულა და ისეთი ფაქტები გამომტყვრალა სახელოსნოების ცხოვრებიდან, რომ მზგავსის შექმნა ძლიერ მახვილ ფანტაზიასაც გაუჭირდება. ამასთანავე საჭიროა, შეგირდების სწავლის დროც განისაზღვროს. იგივე მე-399 მუხლი ამბობს: „შაგირდებს საჭირო დროს მხოლოდ ხელობა უნდა ასწავლონ და სხვა საოჯახო საქმეებზე არ უნდა მოაცდინონო". მაგრამ ვინ არ იცის, რომ ხშირად საქმე სულ უკუღმაა დაყენებული. შაგირდი ერთი, ორი და ხან სამი წელიწადიც ადა-ხელოსანს ოჯახში ემსახურება და მხოლოდ შემდეგ ეღირსება ხელობის სწავლებას. ასე ამიტომ ხდება, რომ კანონის რიგიანად აღსასრულებლად ყურის მგდებელი არავინაა.

მუშა ხელოსანთა ძირითად საჭიროებათა შორის ჩვენ უნდა დავასახელოთ მათი უზრუნველყოფა სიბერის, უბედურ შემთხვევის და ავადმყოფობის დროს. ამისთანა შემთხვევებში მათ ოჯახობასაც ყურადღება უნდა მიექცეს ხოლმე. თუმცა ხელოსნებს საკუთარი თვით-მმართველობა აქვთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ. ეს ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ მათი უკულტურობით და თავდაპირველად იმით, რომ ხელოსანთა კრებებში უმთავრეს როლს ადა-ხელოსნები თამაშობენ და მუშა ხელოსანთა უვარგისობის დროისათვის ზრუნვა მათთვის ბევრი თავ-სატეხიც არაა. თვითონ-კი მუშასთან შედარებით ისინი უზრუნველყოფილნი არიან. მე-322 და 398 მუხლები წესდებისა ეხება დაშავებულ და შეუძლო ხელოსნების (ე. ი. ქარგლების) დამხმარებელ „ორგანიზაციას" და მე 345 მუხლი კი ამბობს, რომ ქარგლებს შეუძლიანთ ავადმყოფობის დროს ამქრისაგან შემწეობა მიიღონ აქ, ეჭვი არაა, საქმო დახმარება იგულისხმება. ცხადია, რომ ასეთ უფლებათა უთანასწორობა უსამართლობაცაა და ჭეშმარიტ საჭიროებასთან ძლიერ დაშორებული. კიდევ უფრო უსამართლოდ ექცევა წესდება შაგირდებს. ვინიცობაა ისინი ან დაშავდნენ, ან ავად გახდნენ, წესდების მეოხებით სახელოსნო დაწესებულებისაგან არავითარ შველის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ამ შემთხვევაში მათთვის ჭირის უფლებმა ან საზოგადო საქველ-მოქმედო დაწესებულებამ უნდა იზრუნოს ხოლმე.

ბოლოს, ვამბობთ რა სახელოსნოების სანიტარულ მდგომარეობაზე, სახეში გვაქვს მე-109 მუხლი 1892 წლის საქალაქო დებულებისა. ამ მუხლის ძალით ქალაქის საბჭოებს ნება ეძლევათ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი სახელოსნოების სანიტარულ მხრივ რიგიანად მოწყობის თაობაზე. საუბედუროდ, ჩვენი საბჭოები ძლიერ ნაკლებად სარგებლობენ ამ უფლებით, რაც სრულიად საკვირველიც არაა, ქალაქის წარმომადგენლობის თანამედროვე სისტემის დროს. სხვა ღონე არაა, უნდა ვისურვოთ, რომ იმ ქალაქებში, სადაც ინტელიგენტი ხმოსნები უმცირესობას შეადგენენ, ამ საკითხს ყურადღება მიაქციოს საგუბერნიო ადმინისტრაციამ. თუ კი ქალაქის წარმომადგენლებს არ სურთ დაიცვან მოქალაქეთა თვალ-საჩინო ნაწილის არსებითი საჭიროება (ხელოსნები კი მოქალაქეთა თვალ-საჩინო ნაწილს შეადგენენ), იმ შემთხვევაში საგუბერნიო ადმინისტრაციის საქმეში გარევა, ჩვენის აზრით, ქალაქის თვით მმართველობის პრინციპის დარღვევა სრულებით არ იქმნება.

აი, ჩვენის აზრით, უმთავრესი მხარეები მუშა ხელოსანთა ცხოვრებისა, რომლებიც საჭიროებენ საკანონ-მდებლო მთავრობის გარევას და რომელმაც, რაც შეიძლება, მალე უნდა მიაქციოს თავისი ყურადღება.

ქ. თ.

◆ „რუსკ. სლ.“-ს ცნობით, განუზრახავთ მდინარე ვოლგისა და დონის შეერთება ნავთის მილით, რომელიც რკინის გზის გამსწრივ უნდა გაიყვანონ.

◆ გაზ. „ამურ. კრაი“ იუწყება, რომ ამურის ოლქის იმ მხარეზე, რომელიც მანჯურიას ახლავს, ხშირად შეხვდებით ხოლმე ეხლა ცხენების მაგივრად გუთნებში შებმულ რუსის გლეხებს. ცხენები ომის საჭიროებისათვის წაუყვანიათ და ხალხი დიდ გასაჭირშია ამის გამო.

◆ ხერსონის გუბერნიის სამღვდელოებას შემდეგი განკარგულება მიუღია უმაღლეს სასულიერო მთავრობისაგან. „უწმინდ. სინოდს ეცნობა, რომ სასულიერო სასწავლებლების ზოგიერთი მოწაფეები, აკრძალვის მიუხედავად, ყიდულობენ და ინახავენ სხვადასხვანაირ იარაღს; სინოდი მიაქცევს მოხსენებულ სასწავლებელთა უფროსების ყურადღებას ამ გარემოებას და ავალებს, სასტიკად აუკრძალონ მოწაფეებს იარაღის შენახვა. განკარგულების დამრღვევთ იარაღი ჩამოართვან; თუ შენიშნულმა მოწაფემ იარაღის ჩაბარებაზე უარი განაცხადა, სასწავლებლიდან დაითხოვონ.

◆ ადგილობრივ მეურნეობის უმთავრესს გამგეობაში აღუძრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ იმ ქალაქების თვით-მმართველობებში, რომელთა ყოველ წლიური ბიუჯეტი 1 მილიონ მანეთს აღემატება, შემოღებულ იქმნან მთავრობის მიერ საკანტროლო დაწესებულებანი.

◆ ადესის სამოსამართლო პალატამ განიხილა ხალხის დაუსწრებლად საქმე 1903 წლის ავვისტოში ქ. კერჩში მომხდარ უწესოების მოთავეთა შესახებ და მიუსაჯა სამ კაცს—4 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, 6 კაცს—8 თვით დაპატიმრება, 7 კაცს—2-3 თვემდე დაპატიმრება; 4 კაცი გამართლებულ იქმნა.

◆ „რუსკ. ვედომ.“-ის ცნობით, გრიგალს სულ 608 სახლი დაუზარალებია მოსკოვში. საერთო ზარალის რაოდენობა ჯერჯერობით გამორკვეული არ არის, ერთ მილიონ მანეთს კი უნდა აღემატებოდესო.

◆ მთავრობის განკარგულებით მობილიზაციის დროს სხვა რკინის გზებზე გადაყვანილ რკინის გზის მოხელეთა ოჯახებს უნდა აძლიონ ოჯახის პატრონთა ნახევარი ჯამაგირი.

◆ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან რუსეთის 24 გუბერნიაში შემოღებულ იქმნება 95 ახალი თანამდებობა საერობო უფროსთა.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია წინადადებით მიჰმართოს ყველა საგუბერნიო ქალაქების თვით-მმართველობათ მომავალ წლის 1 იანვრიდან მათხოვრებისათვის თავშესაფრთა გამართვის შესახებ.

თეატრი

კავკავი. 20 ივნისს კავკავის ქართულ სკოლის სათეატრო დარბაზში სკოლისავე სასარგებლოდ სცენის მოყვარეთ ნ. ყაზბეგის რეჟისორობით წარმოადგინეს „მზის დაბნელება საქართველოში“, კომედია ანტონოვისა. უფრო მოხდენილად შეასრულებდნენ ქ-ნი ტ. ყაზბეგისა (ნენეს როლი) და ო. მრევლიშვილის ასული, (მარეხის როლი) ცოტა სითამამე რომ გამოეჩინათ. კარგად შეასრულა რევსიმეს როლი ო. მოზდოკელის ასულმა (რევსიმე). ნ. ყაზბეგმა (გეურქა), მ. თხელიძემ (მიკირტუმა) და კ. კახიანმა (სვიმონიკა). რიგიანად შეასრულეს და ბევრიც ატირეს დამსწრე საზოგადოება მოხდენილ თამაშით. კარგები იყვნენ აგრეთვე გ. უტურაშვილი (გრიგოლ), მ. მარკოზიშვილი (მანქა), გ. ბარისაშვილი (ინდო), გ. ზირაქაშვილი (ზაალი), პ. გედევანიშვილი (ჩინოვნიკი) და დ. უტურაშვილი (კლეხი). დანარჩენი მოთამაშენიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს. საზოგადოება ცოტა დაესწრო, რაც აიხსნება იმით, რომ კვირა დღეს დილიდან საღამოს თორმეტ საათამდის კოკის-პირული წვიმა მოდიოდა.

ბ. ლ.

წერილები

ზუგდიდი. ზუგდიდის მაზრის მხვნელ-მთესველზე პირველად იერიში მიიტანა ძლიერმა გვალვამ ხვნა-თესვის დროს და ძლიერაც შეუშალა ხელი, ხოლო შემდეგ მუდმივმა წვიმებმა. ამ წვიმებმა მთელი ჭალაბები დააყენა სიმინდის ძირში და მარგვლა შეაჩერა. ამის გამო მოსავალს ცუდი პირი უჩანს. სანოვაგე დაბაში ძლიერ ნაკლებად შემოაქვთ სოფლელთ; ეტყობა, ნაკლულევანებაა. ამბობენ, ძვირად შეჰხვდებით ისეთ ოჯახს, რომელსაც სარჩო ჰყოფნიდეს და სიმინდს არა ყიდულობდესო; ფუთი სიმინდი 55—60 კ. ჰფასობს; წვრილი საკლავი, ქათამი და კვერცხიც ძვირია და არც შემოაქვთ ძველებურად. ყველა ამის გარდა, აბრეშუმის ფასსაც დაუკლეს. ძვირად შეჰხვდებით ისეთ ოჯახს, რომ აბრეშუმის ჭია არ მოეჰყავდეს. ყველა მოუთმენლად მოელის თავის შრომის ფასს, მაგრამ წელს ნახევარზე დასწიეს აბრეშუმის პარკის ფასი მყიდველებმა. 21 ივნისს ათ მანეთად ყიდულობდნენ ფუთ პირველ ხარისხის პარკს. აწი რა იქნება, ღმერთმა უწყის. ვაჭრობა მთელს მაზრაში ძლიერ შეფერხებულია; არ იციან, რა იღონონ და რა ქნან.

დროებით ზუგდიდელი

—

თელავი. რაც თავის დღეში არ მომხდარა თელავში, 19 ივნისს მოხდა: კლუბის დარბაზში დანიშნული იყო წარმოდგენა „პეპო“ და „ორი მზიერი“. მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნნი აწყურელი და გამყრელიძე; განაგებდა ბ-ნი აჯიმამუდოვი, რომელმაც ეხლა მოიტანა ტფილისიდან სცენის ახალი მოწყობილება. ამინდი კარგი იყო. დღე მარჯვედ იყო ამორჩეული—შაბათ საღამო. ხალხით სავსე იყო თელავის ბაღი, რომელსაც კლუბის დარბაზიდან, სადაც წარმოდგენა იყო დანიშნული, ჰყოფს გზა. ამოდენა ხალხის თავმოყრა ბაღში თითქო თავმდები იყო, რომ წარმოდგენას მრავლად დაესწრებოდა მაყურებელი; მით უმეტეს, რომ ერთი მეხუთედი ბაღში მოსეირნეთა საკმაოა კლუბის დარბაზის ასავსებად. გავიდა მერვე საათი, მაყურებელი არსადა სჩანდა. გავიდა მეცხრე საათიც, სცენაზედ გამოსასვლელად მომზადებულ მსახიობთა გარდა არავინ იყო დარბაზში. ბოლოს მოვიდნენ, ვისაც ბილეთები წინად ეყიდნათ, მაგრამ 10—12 მაყურებლისათვის წარმოდგენის გამართვის ისევ არჩიეს გადადება.

ამ ბოლო დროს თელავს ხშირად უსაყვედურებდნენ, დიდი ხანია წარმოდგენა არა ყოფილაო. მაშ რით აიხსნება ამისთანა უცნაური მოვლენა? ამბობენ, გონივრულ გართობის მოთხოვნილება აღარ არის, ახლა ხალხი უბრალო გართობას უფრო ეტანებაო; ამბობენ, ღვინის გაუყიდაობამ დაბადა გაჭირვება, რომელიც შავი ბედის წერასავით ყველაფერს თან დასდევსო. ერთმა მითხრა, მიზეზი გონებითი კრიზისია მიმავალ თაობისა, რაც კარგი ნიშანია მომავლისათვისაო. უკანასკნელი რო მართალი იყოს, სანუგეშო იქნებოდა. მომავალ თაობას აღარ ვნახავდით იქ, სადაც ეხლა ვხედავთ. განა ვინ ავსებს ყოველ კვირაობით იმავე დარბაზს, რომელიც წარმოდგენის საღამოს ცარიელი იყო? რას აკეთებენ, ვინც კვირა საღამოს იქ არიან? შაბათ საღამოს სადღა არიან ისინივე და რისთვის? მეორე მართალია, მაგრამ იმდენად-კი არა. ასე რომ იყოს, ლოტოსა და ბანქოს თამაშობასაც დაეტყობოდა ქესატობა, რაც უფრო სოფლადაა. ყოველ ხუთშაბათს იგივ დარბაზი სავსეა ლოტოს მოტრფიალებით. ყოველ დღე იქავე იხსნება ახალ-ახალი ბანქო. მაშ, საიდან? ისევ პირველ მიზეზს უნდა დავუბრუნდეთ. ვინც ეს დასახა მიზეზად, დაუმატა, რომ ამაში მანდილოსნობა უფრო დამნაშავეო. მაგრამ მართალი არ არის. ჩვენ ყველანი ერთნაირად ვართ დამნაშავენი. ყველანი ვერიდებით რასაც არ უნდა ვშორდებოდეთ, ყველას გული გაციებული გვაქვს იმაზედ, რაზედაც გულ-მხურვალედ უნდა გიყვნედ, ყველას, თუ გამოვუტყდებით, თითქმის გვეჯავრება, რაც ყველაზედ ძალიან უნდა გვიყვარდეს.

ნადიკვრელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივნისი

პეტერბურგი. 23 ივნისს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

ლიაოიანი. ლიაოიანიდან 25 მილის მანძილზე უკვე ორი დღე გამწვავებული ბრძოლაა.

ტიანძინი. ნიუ-ჩუანიდან წამოსული ნაღმიანი გემი „ლეიტენანტ ბურაკოვი“ კვირას 9 საათზე პორტ-არტურში მივიდა.—იაპონელთა ნაღმიანი გემები წამოვიდნენ იმ განზრახვით, რომ პორტ-არტურის ნავთ-სადგურში შევარდნილიყვნენ, მაგრამ დროზე დაინახეს ნაპირის ბატარეებიდან; ერთი ნაღმიანი გემი დაღუპეს „ზოლოტაია გორა“-ს ძირში, მეორე კი მე-22 ბატარეასთან; მესამეს მოაგლიჯეს საკვამლე; მეოთხე უვნებლად წავიდა. ჯარების სულიერი განწყობილება ჩინებულია; სურსათი საკმაოდაა დამზადებული. შაბათს დაიჭირეს 50 იაპონელი ჯაშუში, ხოლო მოხსენებული არ არის, რა ადგილას დაუჭერიათ. მატარებლები ციხიდან 16 მილის მანძილზე დადიან.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა დღეს ბრძოლის ველზე წავიდა; ოიამას ახლავან გენერლები—კოდამა, ფუკუშიმა და დიდი შტაბი.

ტოკიო. კუროკი იუწყება, რომ 21 ივნისს, დილის 4 საათზე მოდულინის უღელტეხილზე მოწინავე რაზმებს შეტაკება ჰქონდათ. რუსების ორმა როტამ შუაში მოიმწყვდია მოდულინის უღელტეხილის ჩრდილოეთ-დასავლეთით 2 კილომეტრის მანძილზე დაყენებული იაპონელთა სადარაჯო რაზმები. მოხდა გამწვავებული ბრძოლა შტიკებით. რუსებმა დაიწიეს ტხავუანისკენ; მათ გამოედევნა იაპონელთა უმთავრესი სადარაჯო რაზმი. დაახლოვებით იმავე დროს რუსები თავს დაესხნენ იაპონელთა სადარაჯო რაზმებს სინკაილინის დასავლეთით, მაგრამ აგრეთვე უკუგდებულ იქმნენ. იაპონელებს მოუკლეს 19 ჯარის კაცი და 2 აფიცერი; დაუჭრეს 36 კაცი. რუსებმა დასტოვეს 53 მოკლული და 40 დაჭრილი.

ლონდონი. „ტაიმს“-ის აზრით, არ შეიძლება კანონიერად არ იქნას ცნობილი მოქმედება ვლადივასტოკის ესკადრისა, რომელმაც ინგლისის გემი „ჩელტენჰემი“ დაიჭირა.

23 ივნისი

გიანძე. („რეიტ. სააგ.“). ზავისათვის დანიშნული ვადა რომ გავიდა, ინგლისელებმა გაილაშქრეს, დაეცნენ ციხეს და დაიჭირეს ციხის გვერდით აშენებული სიმაგრეები. მცხოვრებლებმა და ტიბეტელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ინგლისელებს და მოუკლეს ერთი პორუჩიკი.

ლონდონი. ინგლისელებმა დასწვეს სოფელი და მონასტერი ბეხანი. დღეს 1200 კაცისაგან შემდგარი ჯარი თავს დაესხმის ტიბეტელების უმთავრესს პოზიციებს გიანძესთან. გენერალი მაკდონალდი ჰფიქრობს, რომ მხოლოდ სასტიკ ბრძოლის შემდეგ მოახერხებს პოზიციების დაჭერას.

მინსკი. 5 ივნისს მოხდება საგანგებო საერობო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი მინსკის გუბერნიაში უსაქმოდ დარჩენილთათვის სამუშაოს აღმოჩენის შესახებ.

გიანძე. ინგლისის ჯარმა აიღო იერიშით ტიბეტელების სიმაგრე. ინგლისელების ზარალი მცირეა.

სოფია. (ოპოზიც. წრეებ.). ოსმალეთის წყაროდან მტკიცდება ბოლგარიიდან მიღებული ცნობები ოხრიდის ოლქში შიმშილობის შესახებ. სამოქალაქო აგენტები დაივლიან ამ ოლქს დამშეულთა რაოდენობის გამოსარკვევად და მათთვის დახმარების აღმოსაჩენად.

24 ივნისი

პეტერბურგს. „კანონთა კრებულ“-ში დაბეჭდილია, რომ სახელმწიფო წეს-წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ საქმის წარმოებაში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. აგრეთვე ისიც, რომ ამ საქმეებს შეეხება ახალი სისხლის სამართლის დებულება.

დაინიშნენ: კავალერიის გენერალი ტევიაშევი—თურქესტანის გენერალ-გუბერნატორად; გენერალ-ლეიტენანტები: პრესკოტი—არმიის მე-3 კორპუსის უფროსად და რაზგონოვი: მე-16 კორპუსის უფროსად; კამერ-იუნკერი მირკოვიჩი—ვიატკის ვიცე-გუბერნატორად.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა უწმ. სინოდის დადგენილება, რომლითაც იმ პირთ, რომელთაც ცოლ-ქმრობის სიწმინდე დაარღვიეს, და გაიყარნენ, ნება ეძლევათ ხელ-ახლად გათხოვდნენ და ცოლი შეირთონ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

წყალით მხერხავი ქარხანა
ვეძებ მსურველს თავისი ხე-ტყე ვუხერხო იაფ ფასად, ან ამხანაგად, ან იჯარით, ან სულ მივყიდო. სადგური სუმბათოვო ჩიძაევი. (3—237—3)

ახალი გახსნილი
სასტუმრო არკადია ნომრებით
(ყოფილი „იალტა“)
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ქილა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—34)

ტფილისელ ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საზოგადოების ნამდვილ წევრთა საყურადღებოდ, რომ გამგეობამ მოაწყო სამკურნალო დახმარების საქმე წევრთა და იმათ ოჯახთათვის. საზოგადოების ექიმებათ არიან: ა. პ. კარაპეტიანი (მიხეილის პროსპ., საკ. ს., № 94). და ი. ი. ოსტროვსკი (მიხეილის პროსპ., № 130). კბილის ექიმები: ა. ა. მაისურიანი (სერგიევის ქ., № 3), გ. ს. კლებანსკი (ელისაბედის ქ, № 56). საჩეკო წიგნებისა და სამკურნალო შემწეობის წესების მიღება შეიძლება გამგეობის კანტორაში (განოვის ქ., სახლი ა. ფრიდონოვისა) 1-ლ ივლისიდან.
საზოგადოების გამგეობა, წესდების მე-18 §-ის ძალით სთხოვს ბ-ნ წევრებს იზრუნონ და დროზე წარმოადგინონ წლიური შემოსატანი.
საზოგადოების სამკითხველო ამა წლის 1 ივლისიდან გაღებულ იქმნება ყოველ დღე დილით 7—11 საათამდე და საღამოთი 6—11 საათამდე. კვირაუქმეობით: დილით 9—2 საათამდე, საღამოთი 5—8 საათამდე. (3—239—1)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანის ახლოს. (წ.—176—48)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო
ამა წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.
გადაჭრილი ფასებია დანიშნული.
ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.
პატივისცემით ბ. გ. ბერიევი
60—189—50)

Доз. цензурою. 24 Іюня 1904 г.
ელექტრონის ხელით წიგნების გამომც. ქართ. ამხ.—ბა.
Электро... ув. Мад. То—ва